ხელშეკრულება № 25

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი 26 თებერვალი2019 წელი

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს.კ. 417874973) (,,შემდგომში ,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,არბიტრანს“ (ს/კ 404486800), (შემდეგომში ,,მიმწოდებელი“), წარმოდეგნილი დირექტორის გოჩა ჭოლოკავას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1] “ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში ,,ხელშეკრულება“) – ,,შემსყიდველ“ ორგანიზაციასა და ,,მიმწოდებელს“ შორის დადებული ,,ხელშეკრულება“, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს ,,შემსყიდველმა“ ორგანიზაციამ ,,მიმწოდებლის“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.
1.3. ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ ,,შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4. ,,მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად.
1.5. ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი 2. შესყიდვის საგანი და ობიექტი

2.1 შესყიდვების საგანია: ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს 2018 წლის სახელწიფო ბიუჯეტის სახსრებით აუდიტორული მომსახურების (CPV79212000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.
2.2. შესყიდვის ობიექტია: ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წლიური ფინანსური ანგარიშების აუდიტი რომელზედაც უნდა გაიცეს შესაბამისი აუდიტორული დასკვნა. ასევე აუდიტორის მიერ უნდა მომზადდეს,დასკვნა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2018 წლის საკლუბო ლიცენზირების დებულების მოთხოვნით.

მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
3.2 ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს ფინანსური მენეჯერი მარინე ბადაშვილი.
3.3. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
3.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს“ მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

მუხლი 4. მომსახურების გაწევისა და ჩაბარების დრო

4.1. შესყიდვის მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 15 მარტის ჩათვლით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება ,,შემსყიდველისა“ და ,,მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით.
5.2. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია წარუდგინოს ,,შემსყიდველს“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარში.
6.2. გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. მომსახურების ღირებულება

7.1. ხეშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1800 (ერთიათას რვაასი) ლარს საქათველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის მათ შორის დ.ღ.გ.ჩათვლით.
7.2. ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველისათვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1. ხელშეკრულების პირობებში ცვლილება არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.
8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, რაც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. უფლებების გადაცემა

9.1. ,,მიმწოდებელს" უფლება არა აქვს ,,შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ, გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მესამე პირს.

მუხლი 10. ნაკლის გამოსწორება

10.1. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება, ,,შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ფორსმაჟორული პირობების გარდა, ,,მიმწიდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
11.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2% ოდენობით.
11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწიდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ,,მიმწოდებელს" ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1.,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწიდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 13. ფორსმაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ,,შემსრულებლისათვის" ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1. მხარეები სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელსეკრულება ძალაშია 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 16. სხვა პიროზები

16.1. ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ,,შემსყიდველს", მეორე ეგზემპლარი ,,მიმწოდებელს", ხოლო მესამე ეგზემპლარი წარედგინება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.
16.2. ამ ხელშეკრულებაში დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები

<u>**შემსყიდველი**</u>

ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის
ფეხბურთის კლუბი გორი".
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5
საბანკო რეკვიზიტები : ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22
ს/კ 417874973

დირექტორი **გია ისიანი**

<u>**მიმწოდებელი**</u>

შ.პ.ს ,,არბიტრანს"
ს/კ. 404486800
ქ. თბილისი, ავლაბრის მოედანი 2, ბ. 82.
საბანკო რეკვიზიტები– ს.ს ,,თიბის ბანკი", (ვერის ფილიალი)
ბანკის კოდი TBCBGE22,
ანგარიშის ნომერი GE76TB7249936080100005

დირექტორი გოჩა ჭოლოკავა